

# საბჭოთა რევოლუცია



33/0


## კერძი და ქურუმი

1875-1 66 67

№

55

1921 წ.  
თებრის 7



ქურუმი ლენინი. ჰოი, დიდ კერძო კომუნისტო! აწ კვლავ რევი მასწავლ მინსს შენს: ვითარ შთავგა-  
ნო უგუნურსა და მტირულ მორწმუნესა უბნა ბუმსა, რამეთუ მსხვერპლად ესე ფრადი, რომელი შეგვიწოდეს შენ-  
და, არა არს ამო და, აწ ესე რა, ჯეგვიღვამს ფეხი წილსა შინა სმეუფიოსა შენსა! (ის. გვ. 16)

# ცხოვრების ხიჯები

1

## ჯორი და იმერელი

ვის არ გაუგონია იმერლის ამბავი: ჯორმა რომ გადმოაგდო და არც კი „შეიკორინა“:

— ბრანწი, ჯორო! აქ მაინც გადმოხდომა მინდოდაო!

სწორეთ ასე მოსდის ჩვენს „ტკბილ მეზობლებს“ — აზერბეიჯანელ კომუნისტებს.

ვინც კი გამოჩნდება იმ მხარიდან — რკინის გზით მოსული მეზავრი იქნება, თუ საზღვარზე ქვეითად გადმოსული მეცხვარე, ან კიდევ წინა პოზიციიდან დროებით ჩამოსული ჯარის კაცი თუ გვარდიელი — ყველა ერთსა და იმსვე ამბობს:

— იქაური ცხოვრება აფორიაქებულია, ძალი ბატონს ვერა სცნობს, ყველაფერი დომბალივითაა არეულ-დარეული, ნამდვილი ანარქიააო.

ყველა ჩამოსულები ერთხმად იმეორებენ, აზერბეიჯანის უმთავრესი სამხედრო ძალა, მე-11-ე არმია, იშლება, ჯარი სკაცები ნება დაურთველად სტოვებენ პოზიციებს და ჯგუფ-ჯგუფად მიდიან ბაქოსკენო.

ერთი სიტყვით, ჩვენი მეზობელი „ჯორს გადმოუგდია“ და კარგა მაგრათაც გადმოუგდია, როგორცა სჩანს.

ვინ-ღა დაგიდევს „რეკომებისა“ და „ნარკომების“ ბრძანება-განკარგულებას! ფაქტიური ბატონ-პატრონი იქაური ცხოვრებისა ამ ეამად თურმე მეთერთმეტე არმიაა!

მხედარი როდი ჰხედნის ჯორს, არამედ ჯორი მხედარს!

მხედარი მაინც არ „იკორინებს“, ვითომც აქ არაფერი მომხდარიყოს და იმერლისა არ იყოს, ხალხში თავს არ ირცხვენს, „მაინც გადმოხდომა მინდოდაო!“

ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს ის მუქარაიანი „ნოტები“, ჩვენი მეზობლები რომ საქართველოს უგზავნიან:

ჩვენთვის გამოსაგზავნათ გამზადებული ჩვენივე მატარებლები გზებიდან დააბრუნეს და ვეღარ გამოგზავნეს — არა იმიტომ, რომ არ ნდომოდეთ გამოგზავნა, არამედ იმიტომ რომ ანარქიისა და ცხოვრების არეულ-დარევის გამო ვეღარ შესძლეს გამოგზავნა.

და აი ამ საქვეყნო მარცხის გამოსაკეთებლათ სხვა ვეღარა მოიფიქრეს რა გარდა იმ სასაცილო „ნოტებისა“, რომლებიც შემწეობით ცდილობენ ჯორის ზურგიდან ბრავგანი მარცხად არ ჩაითვალოს.

## შეურაცყოფილი კენი.

— პოლონელი ქალები ხომ ჩავკოცნეთ! ეხლა ჯერი ქართველ ქალებზე მიდგა!

ბრძანა ერთმა შეზარხოშებულმა კომუნისტმა ამ შეიდი თვის წინათ და გულიანათ გადინახარხარა:

ეს ის დრო იყო, როდესაც წითელ არმიელთა ჯარი ვარშავას უახლოვდებოდა და გზაზე ნამდვილ კომუნისტური ხელოვნებით არბევდა და ანადგურებდა ქალაქსა და სოფლებს, ხოცავდა და ნამუსს ხდიდა მცხოვრებლებს.

მაგრამ ეს სიტყვები იქ კი არ წარმოთქმულა, პოლონეთის ფრონტზე, არც სადმე რუსეთში, არამედ აქ, საქართველოში, ტფილისში.

და ამ სიტყვების მთქმელი ვინმე უცხო როდი ყოფილა — რუსი, ებრაელი, ან კიდევ თათარი, გინდ ბაშკირი; — არამედ ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი ღვიძლი და თვისტომი, ჩვენს მიწაზე შობილი, ჩვენ ცის ქვეშ აღზრდილი ქართველი კომუნისტი!

დიდათ გულწიწკიც რომ არ იყო კაცი, მაინც შეგვიზნდება ასეთი სიტყვების გავონება, მაგრამ რამდენადაც საზიზღარი და გულისამრევია ეს ნათქვამი, იმდენათ დამახასიათებელია იგი ჩვენ სახელოვან თანამემამულე კომუნისტებისათვის.

ერთ რუსულ ანტიკომუნისტურ გაზეთში, რომელიც პარიზში გამოდის, ამას წინათ მოთავსებული იყო ამ გვარი კარიკატურა: ოთახში დგას ფრენჩში და გალიფეში გამოწყობილი რუსი კომუნისტი, ხელები ჯიბეში ჩაუწყვია, პირში სივარა გაურქვია და არხენათ იყურება სივრცეში. სახეზე უტიფრობა, თავაგდებულობა და გონებრივი სიჩლუნგე აწერია. უკანა კედელს ამშვენებს სამი დიდი პორტრეტი: ქამის, კენის და იუდასი. სურათის ქვეშ აწერია: „წინაპართა პორტრეტები“.

რუს კომუნისტებს შეიძლება ძალიანაც შეეფერებოდეს ეს კარიკატურა, მაგრამ ჩვენი თანამემამულე კომუნისტებისათვის, რომელნიც აქ, საქართველოში, „მოღვაწეობენ“, ამ გვარი სურათი, ჩემის აზრით, არ გამოდგება.

ჯანი გავარდეს ქამსა და იუდასი!.. ვთქვათ, რომ ამ ორმა ისტორიულმა პირმა მართლაც დაიმსახურა ქართველ კომუნისტთან შედარება, ქამსა და იუდას არ გამოვესარჩლები, მაგრამ რაც შეეხება კენს, ნურას უკაცრავათ, თუ ეს ყოვლად კეთილშობილი მებრძოლი ჩვენს კომუნისტებს ვერ გაუთანაბრო!

რა ჰქნა კენმა?

— კენმა თვისი საკუთარი ხელით მოჰკლა ღვიძლი ძმა აბელი! აიღო კეტი, თუ ქვა, სთხლიშა თავში და გააგორა.

— თითონ უშიშროთ სხვის ცხოველსათ!

ანი

განა აშკარა უსამართლობა არ იქნება, რომ ამის გულისათვის კენი სამარცხვინო ბოძზე გავაკრათ და ქართველი კომუნისტის გვერდით დავაყენოთ?!

ქართველი კომუნისტი ვერასოდეს მიადწვევს კენის საქციელის კეთილშობილებამდე!

ჯერ ერთი რომ თვით მიზანი კენისა ბევრათ კეთილშობილურია ჩვენი კომუნისტების მიზანზე.

კენმა განიზრახა (და შემდეგ შეასრულა კიდევ ეს განზრახვა) ღვიძლი ძმის მოკვლა.

ქართველ კომუნისტებს კი განზრახული აქვთ გარდა ღვიძლი ძმის მოკვლისა, საკუთარი დედისა და დის გაუბატოებობა („ეხლა ჯერი ქართველ ქალებზე მიდგაო“!)

კენმა თითონ მოკლა შაბელი, საკუთარს ხელით.

ჩვენი კომუნისტები კი, თითონ რომ ძალა

არ შესწევთ თავისი ძმის მოკვლისათვის, ალიოხა სემიზვერეევებს და მუსტაფა ყაჩაღოღლებს მოუძღვებიან თავის ოჯახში:

— აბა, ბიჭებო, თქვენ იცით! დედა ჩემი ეგერ წევს, იმ ლოგინზე, მარცხნივ მხარეს... ჩემ დას უკანა ოთახში სძინავს... მიდით, რაღა, ჩქარა!

ამას იკადრებდა განა კენი?

მე დარწმუნებული ვარ, აღშფოთებული კენი ცხვირპირში შეაფურთხებდა ამ ვაჟბატონებს ასეთი ქცევისათვის და ზიზლით გაშორდებოდა მათ.

მაგრამ ისინი საკმაოდ უზრუნველ-ყოფილნი არიან და ჩინებულათა ც იფარავენ თავს:

სხედან არხენათ რუსეთის მისიაში, აქებებენ შეინმანებს და ჩიჩერინებს და კმაყოფილი ღიმილით ისრესავენ ხელებს...

კირჩხიბი



### წვრილმანი საკითხები

(ეს მოხსენება წაკითხულია ავტორის მიერ ბათუმის ზრთოვანი სახელმწიფო კავშირთა კონფერენციაზე 10 დეკემ.)

#### შ ე ს ა ვ ა ლ ი

მოქალაქენო! მე მთხოვეს დღეს თქვენ კრებაზე წამეკითხა მოხსენება რაიმე საინტერესო კითხვაზე. მე გადავწყვიტე შემესრულებია თქვენი თხოვნა, მაგრამ ვერ გადავწყვიტე რა თემაზე წამეკითხა მოხსენება. ბოლშევიკები, საერთაშორისო მდგომარეობა, მომენტი და სხ. ამ საკითხებზე პატივცემული აიოლო ყოველ დღე ორ ორ წერაღს ათავსებს „ბატუმსკაია ტიზნი“, კვირაში სამ ლექციას კითხულობს, ხოლო საბჭოს კრებაზე 10—15 მოხსენებას აკეთებს. ვინაიდან აიოლო ჩემზე უკეთ იცნობს ამ კითხვებს და ჩემზე უკეთესი ორატორიც არის და (ეს ყველაზე საპატიო მიზეზია) თქვენც საკმაოდ მოგწყინდათ ასეთ კითხვებზე საუბარი—მე მას გვერდი აუარე. არის კიდევ ერთი მეტათ საინტერესო კითხვა: ე. წ. „უტკის“ ანუ არ მომხდარ ამბავთა შესახებ საუბარი. მაგრამ ამ საკითხის გაშუქება „ეხლა ბატუმამ“ ილო თავის თავზე და უნდა მოგახსენოთ ერთობ კეთილსინდისიერათაც ასრულებს აღებულ მოვალეობას. ხშირათ ისეთ „უტკას“ დაზადებს, რომ ჩიჩერინსაც გაუჭირდება მისი შობა.

ამიტომ, დიდი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე წვრილმან საკითხებზე ვისაუბრო. გაფრთხილებთ ბატონებო, რომ ეს საკითხები წვრილმანია არა თავის მნიშვნელობით, არამედ მით, რომ მას „წვრილმანი“, ანუ მცირე ყურადღება აქვს მიქცეული ვისგანც ჯერ არს. წინდაწინ მინდა ვიყო დარწმუნებული, რომ ჩემ მიერ აღებული თემა

თქვენთვის საინტერესო გამოდგება და (ჩვეულები-სამებრ) არ დაგეძინებათ.

#### საბინაო საკითხი

ბათუმში ერთი წვრილ საკითხთაგანია. ბათუმელ მოქალაქეს ვერ გაუგია მიზეზი შემდეგ მოვლენისა: ინგლისელების დროს ორჯერ მეტი ხალხი ცხოვრობდა ბათუმში და ღამე ქუჩაში არავინ რჩებოდა, დღეს კი ორჯერ ნაკლები ცხოვრობს და ხშირათ იზოვით ქუჩაში უბინაო ხალხს. ბატონებო, უნდა გამოგიტყდეთ რომ ვერც მე გავიგე რაშია საქმე. საბინაო საკითხის მოგვარებაში ირაკლი დიდიძეს ქალარა გამოერია. ბოლოს როგორც უფრო ადვილი საქმე, რედაქტორაობა არჩია და საბინაო საკითხი ისმაილ თევზაძეს გადასცა. მუხლებამდე დაკაპიწებული სამი პორტფელით ხელში, 15 აგენტის თანხლებით დარბოდა 7 დღე და 7 ღამე ისმაილი, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ერთი კვირის განმავლობაში ქალაქის გამგეობამ 15 ჯერ უქნა რეორგანიზაცია საბინაო კომისიას, მაგრამ ცარიელი ოთახები მოსამსახურეთა დასადგომათ მაინც ვერ იშოვნა, და როდესაც უბინაო მასწავლებლები ტირილით იჩივლებდნ ქალაქის გამგეობაში: ყოფილი ქალაქის გამგეობის წევრი გიმნაზიაში დასახლდა და საკუთარი სახლი გაქირავებული აქვს, ერთ-ერთი უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის ინსპექტორმა სამი ოთახი აიღო სასწავლებელში და საკუთარი სახლი გააქირავაო—ქალაქის გამგეობა ღუმილით უბასუხებდა. ერთ ჩვენ მეგობარ სახელმწიფოს კონსულს სახლში მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ჩაუსახლეს. ბატონებო, თქვენ გემხსოვრებათ, რომ ერთხელ ორდერი მუშათა სასახლეშიც

კი მოვიდა. ამასწინათ ჩვენს ამხანაგს, თედორეს კომისიამ მისცა ორდერი ერთ ოთახზე, სადაც ორი „ისეთი“ ქალი ცხოვრობდა. წარმოიდგინეთ თედორეს მდგომარეობა, როცა კომისარმა თედორე და ორივე ქალი ოთახში ჩაკეტა, დალუქა. ორ ღამეს თედორე და ქალები როგორც კონდრაბანდის საქონელი ოთახში ისხდნენ დალუქული. თურმე კომისარი ცოტა შექეიფიანებული ყოფილიყო და ეხუმრა. კიდევ კარგი თედორე გვარდიის აფიცერი არ არის!

ასე გაჭირვებულ მდგომარეობაშია, ბატონებო ეს ერთი წვრილმანი კითხვა. მეორე კითხვას შეიძლება დავარქვათ:

**თ ხ ი ლ ე ბ ი**

ანუ ექსპორტი ჩვენი სიმდიდრისა. ვინ არ იცის, რომ ჩვენი ვალიუტის ასაწევით საჭიროა ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის გამოყენება, საქონლის საზღვარგარეთ გატანა. ეს ფრიად დიდ-მნიშვნელოვანი საქმე კოოპერატივთა კავშირმა იღვა თვის თავზე და ამას წინეთ გემი „კონსტანტინე-პოლი“-თ გაგზავნა საზღვარგარეთ. მე ბატონებო, სწორეთ იმ დროს მივედი ნავთსადგურში, როცა გიორგი ჩიკაშვილი დამჯდარიყო თხილით მოფენილ მიწაზე და მწარეთ სტიროდა, მე ცოტა არ იყოს თავი შეურაცყოფილათ ვიგრძენი. გიორგი გვარდიელია და მე, როგორც გვარდიელს მრცხვენოდა მისი ცრემლები.

— რა გატირებს გიორგი? შევეკითხე მე.

— პატრონი... ძლივს წაიბუტბუტა გიორგიმ.

— ვისი პატრონი, კაცო? მამა ხომ არ მოგკვდომია?

— არა, თხილის პატრონი. . ეს თხილები კოოპერატივთა კავშირისაა, საზღვარგარეთ მიაქვთ. დახედუ ერთი, აბა რამდენი ჩაეა სტამბოლში.

უნდა გამოგიტყდეთ ბატონებო, რომ სურათი მართლა თვალწარმტაცი იყო: გემის გარშემო (ტყუილი რომ არ გამომივიდეს ბევრს არ ვიტყვი) ნახევარ ვერსის მანძილზე ზღვა დაფარული იყო თხილით, გაკვირვებულ თევზებს თათბირი ჰქონდათ და ვერ აეხსნათ ასეთი საოცარი მოვლენა. აუარება ლტოლვილი ბერძნები შემოსეოდნენ ტომრებს და ვის რამდენი შეეძლო მიათრევდა თხილებს, ბატონებო, ჩემი პატივცემული მასწავლებლები სიმონ ოცხელი, კირ. მესხი, სერგო რობაქიძე და სხვები დაამტკიცებენ, რომ მე მათემათიკა საუცხოვოთ ვიცი, მაგრამ იმის გამოანგარიშება, თუ რამდენ თხილს ჩაიტანდა გემი სტამბოლში. ვერ შევძელი დავტოვე გიორგი თხილების გამოსატირებლათ და წამოვედი ქალაქისკენ.

ასეთ მდგომარეობაშია ბატონებო ჩვენი ექსპორტი. ახლა მე მინდა შევეხო ერთ რამეს, რასაც შეიძლება დავარქვათ.

**Постоянная величина**

(ანუ „საინჟინერო სამართველოში“)

თქვენ მოგეხსენებათ რა გულმოსული იყო ჩემზე დამოყნა.

— რაღა ჩვენ ჩავვიჯინდა, როცა სხვა ჩვენზე უარეს სჩადისო, ამბობდნენ დამოყნელები და მართალიც არის. ამას წინათ შემთხვევით მოგხვდი ბათუმის საინჟინერო სამართველოში. საუცხოვოთაა საქმე დაყენებული! რაც ჩვენი მტრები იყო, შეგრაზმელები თუ წითელ რაზმელები ყველა საუცხოვოთ დაუბინავებიათ და შესდგომიან საქმეს. აკეთებენ ყაზარმებს, გზებს და ყველაფერს რაც ჩვენ ბათომში არ ყოფნის დროს დაუნგრევიათ. მართალია ყაზარმების შეკეთება ცოტა „სხვაგვარათ“ ხდება, მაგრამ რას იზამ, ყველგან ასეა. მაგალითად, ბატონებო, ერთი ყაზარმის შესაკეთებლად მეორე ყაზარმას ანგრევენ, ნახევარ მასალას სახლში წაიღებენ. ე. წ. „უროჩნი პოლოჟენით“. ჯდანგრევის ფულს ცალკე აიღებენ, შესაკეთებელს ცალკე, ხოლო მასალასაც ცალკე, მართალია მასალა არ უყიდიათ, მარა რა უყოთ მერე, ყაზარმა ხომ შეკეთდა.

იქნება იკითხოთ რატომ შეიძლება ამ საკითხს **ПОСТОЯННАЯ ВЕЛИЧИНА** დავარქვათო. უკანასკნელ დროს ყველაფერი გამოიცვალა, ვარდა ინჟინრებისა. ისინი წინეთაც არ აკლებდნენ ხელს და ახლაც. (რასაკვირველია არა მუშაობას!)

**„სხივი“ და რკინის გზა**

— ამის შესახებ შეგაწუხეთ, ბ-ნო სლუჩაინ! მომმართეს გუშინ სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურებმა. ბატონებო, მათი კოოპერატივი „სხივი“ მოთავსებულია და კარგადაცაა მოწყობილი ნურბასთან, სახლში, რომელიც ეკუთვნის რკინის გზას. დდიდან გაჩენისა „სხივი“ ამ ბინაზეა, ახლა კი რკინის გზის სამართველო აგდებს კოოპერატივს და სამაგიეროთ უნდა დააყენოს მოსამსახურეები. ბატონებო, ამ საკითხს ყურადღება უნდა მიექცეს. რკინის გზელებიც სახელმწიფო მოსამსახურეებია და „სხივის“ წევრებიც. მართალია „სხივი“ სპეკულიაციას ეწევა, მაგრამ ეს დღევანდელ კოოპერატივების მე-11 მცნებაა და ამ შემთხვევაში კერძოთ „სხივი“ არაფერ შუაშია. მართალია რკინისგზელებს ბინა ესაქიროებათ, მაგრამ დუქანი საცხოვრებლად არ ვარგა, ხოლო „სხივის“ გამგეობა სამ ოთახს სხვაგან მისცემს რკინისგზელებს საცხოვრებლათ, და განა სასურველია ყველა რკინის გზელები ერთად ცხოვრობდნენ? ხომ დასქამენ ერთმანეთს.

საბჭომ ბატონებო ასეთ საკითხებს უნდა მიაქციოს ყურადღება, მით უმეტეს, რომ იმედი გამიცრუვდა და

**ვალოდია სულაქველიძე**

რომელიც მთავრობამ გამოგზავნა ბათომში „წვრილმან საკითხების“ მოსაგვარებლათ ისევ თხი-

ლის დაბრუნდა. ცოტა ხნით შეშინებული ჩვენი მილიცია ისევ გათამამდა, ცა ქუდათ არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნათ. ამას წინეთ, ბატონებო დაეჭირათ ერთი თბილისელი გვარდიელი, ეცემათ კარგათ და შემდეგ გაეშვათ: უკაცრავათ, შეცდომით მოგვივიდა, სხვა უნდა: გაგველახა და შეგვეშალაო. ასე წარმოიდგინეთ რევოლვერსაც არ უბრუნებდნენ, რომ ბათალიონის უფროს გრ. კვაშალს არ ეშველა. როგორ მოგწონთ, ბატონებო! მე უკეთესი წინადადება შევიტანე მილიციაში: ჯერ ბოდიში მოიხადონ და შემდეგ სცემონ. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ გალახვის დროს კაცი იღლება და მოხერხებულათ ბოდიშის მოხდას

ვერ შეძლებს, ხოლო გალახულს კი ეცოდინება რისთვის სცემენ.

კიდევ ბევრი წვრილმანი საკითხები მაქვს გასარჩევი, მაგრამ ახლა დრო ნებას არ მაძლევს. ხოლო ზემოთ ჩამოთვლილ საკითხების გადაჭრაში დიდი იმედი მაქვს


**გრიგოლ გიორგაძის**

მთავრობის საგანგებო რწმუნებულის. ბათონის უკულმართობის მოწესრიგებაში თავიდანვე სწორი გეზი აიღო და იმედი მაქვს ცოტა შეამსუბუქებს ჩვენს მძიმე მდგომარეობას.

ნება მომეციოთ ბატონებო, დღეს ამით დავასრულო ჩემი მცირე მოხსენება.

გრ. სლუჩანინი.


**ფართო მუნიციპალური პროგრამა სასაშოროდ.**



ფოთის ქალაქის მოურავი. (თავისი კაშკაის მწვერვალიდან) უბირველეს ყოვლისა ამ სამთარში მე უნდა ამოვარო ეს მადასტომის ტბა.

კომუნისტი ბუღუ  
 „კუკურეკუ ქუდით“  
 ქეზალთან უოფილა...  
 ნეტავი შტო ბუდით?..

### სახალწლო დარბაზობა



სახალწლოდ დღეს უშვავა გადასწვიტა თვისი ახლობელი მეგობრების ნახვა და სადარბაზოთ გამოეწეო.



უბირველეს ეფელისა დენიბი ინახულა. მასშიბედეს გარდა დენატურატ სზირტის სხვა სასმელი არ აღმოახნდა. რა გაეწობოდა: უშვავა გადაჭკრა დენატურატი, საბჭოთა რუსეთის სადღეგრძელო.

### შექანჯვალეზულის ლექსები.

ჰე, ჰე, ჰეეე... ტაში ქინკებო,  
 დავლური კულიანებო,  
 ცეკვა მსურს, ტაში დაჰკარით,  
 ქაჯებო, მსხვილ რქიანებო!

ქარბუქი ზურნას დაუკრავს,  
 ცივი და თეთრი ხელეზბით...  
 საწყალი ჩემი ბუხარი,  
 ვაცივდა... მოკვდა ხველვებით.

ტაში დაჰკარით ქინკებო,  
 წრეს შეჰკრავს კულიანები;  
 მინდა ვაცივეო მღევები,  
 თითო—ის თაფიანები.

მაშ, ჩქარა, თორემ გათენდა,  
 აჰა, მოისმის არული,  
 როგორ გამრავლდნენ ორკულნი  
 ოჯახში შემოპარული.



შემდეგ „წითელ“ ახერბეიჯანს ესტუმრა. აქ მხოლოდ ნაფთი დასხვედრეს უედის გასასწავლებლოთ.  
 — იასხუნ ვიჩმიზ ახერბეიჯან! — დასძახა ეშმაკმა და ვაჟვაცურად გადაუძახა ნაფთს სტამაქში.



საბჭოთა სომხეთში მტირალი მასწავლებელი დაუხვდა.

— სხვა არა გამახნია რა: ეს ჭურჭელი ჩემი ტრემლითაა სავსე! თუ მატავს ღამდებ და არ დამიწუნებ დიდ დაშვალებ! — უთხრა სომეხმა.

გულწინადმა ეშმაკმა ერთი ხელადა სომხის ტრემლი დაღია.

დაზამთრდა ჩრდილოეთში და...  
 იქ სიცივია, შიმშილი...  
 ჩვენკენ მოფრენენ ყვავები  
 საკენკზე თვალ დაგეშილი.


ძმავ, სწორი გზით რომ იარო  
 მიიხარ, რა დაგიშავდება...  
 ჩემს დოვლათს თვალს ნუ უშტერებ,  
 პირი ნუ ავიმეფავდება.

რომ შეგვეკამო და შეგვევლიხო,  
 მლიქვნელად მიტომ კაკანებ,  
 აქეთ ყბაში რომ გაგადებ,  
 თავდაღმა გადაგაქანებ.

ჩუ! ეს რა იყო?! ჰი, მივხვდი—  
 —თავზე დაგფრენენ კოტები.  
 გააცოც—გამოაცოცეს  
 ჩვენს გამო მკვახე ნოტები.



სომხეთიდან თსმალეთს შიდად კარზე. მსწინძვლს ვიღაც ფრანგი თუ ინგლისელი დაეჭირა, ასო-ასოთ „ჩარეკებდა“. შეუწვა გული და ეშმაკს შიართვა:  
 — ჩვენი რკული ღვინის სმის გვიკრძალავს. ეს მაინც შიართვით, ევენდი! — უთხრა მან. ეშმაკმა შესჭამა შირთმეული მწვადი.



ეშმაკმა მუცლის გვრემა და გულის რევა იგრძნო და შინისკენ გაემურა. სასიფარს რომ შიდად სმული და ჭმული ერთბაშით უკანვე დაბრუნა.

თურმე ჩვენს შექმას სცლილობენ.  
 ჰმ! ეცინება ივლიტეს!...  
 ვერც აქლემები წაჰკიდეს,  
 და ვერც კოზაკი გაჰყლიტეს.

აქეთ გორასა ცხვირსა ვკრავ,  
 იქეთა იწყებს ზანზარსა...  
 გელათში ვახსნეს სავაქრ  
 უკურთხებია ნაზარსა...

თურმე იქ წმინდა ბერები,  
 დაჯდენ, დაიდგეს სკამები...  
 ცოტა რამ ჭვირფას განძეულს,  
 ყიდდენ ღვთიური მაწები.

თუ უბატრონო საყდარსა  
 ეშმაკი ებატრონება,  
 დღეს უბატრონო საყდრების  
 ღვდლებს შიქვთ ნელ-ნელ ქონება.

აქეთ გორასა რქებს ვავკრავ,  
 შევანძრევ იქეთ გორასა...  
 მამაო, ხელს თუ არ ვაძლევს  
 ნუ იცვამ ანაფორასა.

მოდო, თმა-წვერი მოგპარსო!  
 საქმე ჰქენ, არ გესაქმება?!  
 თორემ თუ ასე განაგრძე,  
 დეპროდიკ კი შამოგუქმება.



გადმოიხინა საზღვარი და ანახდათ ფრანტზე გვარდიელებს წააწუდა. სიცოცხლე გაქვს, მრავალუმიერი აუკიდა მათთან კუჭდაცაღიერებულმა უშმაკმა!

ჩიშ, ჩიშ, ჩიშ! მინდა ფარა ცხვრის  
იქ ხმელზე რომ ვაბალახო,  
შენ, ძმავე, დიდ ლუკმებს ნუ იტყენ,  
საზღვარი არ გადალახო...

ნამეტარი არ მოვიდეს,  
განცხრომამ მთლად არ ჩაგძიროს  
შენ ილალო... სხვებმა კი  
ტუჩებზე ნერწყვით გიციქიროთ.

ჩვენ, „ამხანაგო“ მოვითმენთ,  
გასაჰირს მეტსაც ავიტანთ,  
სჯობს ერთ უღელ ქვეშ შევებათ,  
ლელოს ადვილათ გავიტანთ.

ჰუ, ჰუ, ჰუ! თეთრი ბუზები  
რა მწარეთ გვკბენენ ცივადა...  
მოფრინდნენ თეთრი პებლები,  
მიწას დააჯდნენ მწკრივადა.

კორიანტელი თამაშობს  
და ზურნას უკრავს ქარბუქი...  
ვიშ როგორ მჩატეთ დავრბივარ...  
რატომ ვარ ასე მსუბუქი?

გათენდა კიდევ... მოისმის  
საღდაც სოფლიდან არული.  
მინდა რომ მტკვარში ჩავეშვა,  
გაღმა გავცურო მხარულით.

შექან... ბული.

## შეკანჯალეგულის გილოსვავი

### სამშობლოც.

რა ლამაზი ხარ, სამშობლოც,  
რა ტურფა, რა მიმზიდველი...  
არსად არ არის ქვეყანა  
ესდენ გმირობის მზიდველი...

კეკლუცო და ეშხიანო,  
უბიწოვ, შეუცდომელო;  
მარად მტერთ გულის მიმზიდო,  
მათთვის ხელ მიუწდომელო.

რაოდენ ტურფა, ნაზი ხარ,  
იმოდენ მტკიცე ნებისა...  
არშიეთ ლეგიონს არ სწყუალობ,  
მათ ცეცხლი გულს ეგზნებისა.

ვინ წითლად მორთვას გპირდება,  
ვინ ფულით გამდიდრებასა...  
მაგრამ ვერავინ ვერ შესძლებს  
შენს გულში დამკვიდრებასა.

იყავი მარად უდრეკი,  
ქირშიგან გაუხრელია...  
შენს სადღეგრძელოს ქვევრით ვსვამ,  
ოდვლა, დვლა, დელია!!!..

# საბჭოთა რუსეთის „დიპლომატები“ საქართველოში



**საბჭ. რუს. წარმომადგენელი.** უნდა ამ თავითვე იცოდეთ ამხანაგებო, რომ თქვენ ვეფლანი არ გამოდგებით დიპლომატებათ. ჩვენთვის საჭიროა შეექმნათ აქ, თბილისში საგანგებო დიპლომატიული. დაახლოებით 2000-მდე ამხანაგი მოგვიხდება. თითოეული მათგანი შეუვალი და ხელშეუხებელი იქნება საქართველოს მთავრობისთვის, ხელა თითონ შემაჯავლი და ხელშეუხებელი იმავე მთავრობისთვის. ესაა თქვენ თითონ შიხვდებით, თუ რა თვისებებია საჭირო ჩვენი დიპლომატებისთვის.




დიპლომატი უნდა იყოს სიმაღლით არა ნაკლები 5 ადამიანის.

### მთავრობას.

დაჩაგრულთ კერამ წარმოგვცა,  
 აღზრდილო მათსაგ უბეში,  
 ხალხს აუყვავე აზიზად  
 ხსნის ვარდი ცრემლის ვუბეში.

სამშობლო ერის მესაქვე,  
 ერისვე ამორჩეულო,  
 გულწრფელო, შეუდრეველო,  
 სწორ გზით სიარულს ჩვეულო.



შკერდში უნდა იქონი ზომით არა უფროეს 190 სსსტამეტრის.



დიპლომატს უნდა ჰქონდეს დაახლოებით 8წ-მდე სადი კბილი.



ბალხის ნება და სურვილზე  
 შეჰქმენ სამეფო მყობადის...  
 იყავი შეურყეველი  
 ამიერიდან მარადის.

**გვარდიას და ჯარს.**


თქვენზე რო ვფიქრობ გვირებო,  
 ცეცხლი მენთება კუნთებში;  
 გულს ბრავა-ბრუგი გაულის  
 ვით თქვენს ზარბაზნებს შორს, მიყვებში.

და ასე მჯერა: მარტო მე  
 „კომუნისტ“ აუთავადები...

ვფიცავ, არ ვსტყუი ამის მე...  
 თქვენ მყავხართ ამის თავდები.

თქვენი მკლავების კირიმე,..  
 ვეფხეურ შეტევა-ბრძოლისა...  
 არწივებრ ფრთების გაშლისა,  
 ლაღად აქ იქ ქროლისა.

ამაგრეთ ნორჩი სამშობლო,  
 მტერს გული გაეზარება,  
 თითოს ათას ჯერ გაკოცო,  
 ვფიცავ არ დამეზარება.



უნდა იწინიდეს არა ნაკლებ 20 ფუთისა.



ჯერჯერობით ასეთი დიზლამატი ჩვენს მისიაში 4000-მდე მოგვეზრება. ვიმეორებ: ესენი როგორც საბჭოთა რუსეთის მისიის წევრები, საქართველოს მთავრობისაგან შეუვადნი და ხელშეუხებელნი არიან, ხოლო საქართველოს მთავრობისთვის შემავადნი და ხელშეშელნი. დიზლამოლოკის შესახებთ კიდევ 1600 კომუნისტი კვჭირდება.

იყავით მარად ურყევი  
ჩვენ მტრების გულის მკვლელადა;  
გილოცავთ ახალ წელიწადს,  
დასცალეთ საფხე ხელადა!

**მუზა-მოსამსახურეთ.**

თქვენი მოთმენის კირიმე,  
კირთა მძლეობას თქვენისა...  
კირშიგან სულ-მოკლეობა  
სულ დაკნინებულთ შვენისა.

მოთმენა ძალგიძთ უსაზღვრო,  
გეკმაროთ აწ მოთმინება...  
გისურვებთ ბედნიერებას,  
ძვლები ნუ გაგეყინებათ.

შიშველი ტანის შემოსვას,  
სურსათს და სანოვაგესა,  
თუ ჩემი ლოცვა აგიხდეთ,  
შაქარი ხომ ჩემს ბაგესა!

**მუშათა მავიდას.**

მუშათათვის ხარ დადგმული,  
წილად გარგუნა ეს დრომა...  
გისურვებ მომავალ წლიდან  
საქმეთა შენთა გაწვდომა.

გვიმრავლე ჩაი, შაქარი,  
და პურის რაციონები,  
მაშინ შემირცხვეს სინდისი,  
თუ ვინმეს ვთხოვო ბონები...

**ჩარჩ-სამკაშულიანებზე.**

ვაი, ეს რა დრო დაგიდგათ,  
ღმერთმა თქვენთვის რა ინება;  
ნეტავ, ვიცოდეთ, ბონები,  
თუ ოდეს მოგეწყინებათ...

მაღა ქამაში მოგიდით,  
აკეთებთ კომბინაციებს,  
მიწის მეტი რა გააძღვს  
თქვენთვის გლეჯია-ტაციებს.

**სასწავლებლებზე.**

სიცივისაგან კანკალებთ,  
ბუხრებს გაუჩნდათ ანთება;  
გისურვებთ, მომავალ წლიდან  
გელირსოთ ცეცხლის დანთება.

**მასწავლებლებზე.**

გშიათ... და განა არ გშიათ...  
წაგერთვით ღონე და ძალი...  
მაგრამ რაღაცებს გვპირდება  
„კომპერატ: უნივერსული“

ჩოთქს, აღლსა თქვენი ხელები  
არას დროს არის ჩვეული,  
გისურვებთ დეფიციტები  
არ. შეგჩვეოდეს წყევული...

**კომუნისტებს.**

შინ და გარედ ცეცხლსა გვინთებთ,  
მაგრამ არ სწავს თქვენი ცეცხლი...  
იუდებო, როგორ გზიბლავთ  
სოცნარხოზის ბონი, ვერცხლი,

ამ ბოლო დროს, ხომ ჩაფლავდით,  
გაგიყალბდათ „ის ნომერი“,  
სხვა „ნომრებსაც“ გაგიყალბებთ  
ჩვენი ხალხი, ჩვენი ერი...

სხვას არ ვიცი ვის ვესტუმრო,  
სადარბაზოთ ახალ წელსა...  
რაგქნა... კიდევ რო გადაგვჩა,  
ვაპ, თუ ავნოს ჩემს კუქს, წელსა...

ესეც კმარა... სხვაც სხვა დროსთვის.  
რაგქნა, ერთობ დავითგერი...  
მაგრამ... ვაპმე, დამაფიწყდა  
მე შამები სულიერი.

ერთი მისალოცი დამრჩა,  
მომისმინეთ ცოტა კიდევ;  
— ვინაც სულით მრევლს ამაღლებს,  
ვისაც ჰქვია ლეონიდე.

ქიაკონას გვპირდება,  
ვექვობ ზედ ის გადაახტეს...  
ღმერთმა ნუ ქნას, რომ მუქარა  
ესდენ მკაცრი მისი ახდეს...

მან შამები სულიერი  
ჩვენს საომრათ ჩამორაზმა.  
არცა გვინდა მათი წირვა,  
არცა მათი აიაზმა...

თუ რომ გახრჩობთ ცხორების ზღვა,  
ნიჩბებს ხელი... და მოუსვით...  
ხალხს აკმარეთ, გვედრებით,  
რაც შეუქამეთ, შეუსვით...

**შექანჯალებული.**




როგორ ვათამამდა,  
დასეთ ამ კოდოსა!  
გაგვიკომუნისტდა  
ეს ჩვენი ჰოდოსა!



# ჩვენ და ისინი



ვაი, თუ შეგემთხვას,  
რასაც არ მივლი!..  
ფრონტიდან რათ გარბის  
წითელ არმიელი?



## დაწყება უცხოობამ

დავიღუპე კაცი! აგი რაღა მეგონა, ამას რა-  
ვა ვიფიქრებდი, რომ ცოლიანობა ჯობდა უცო-  
ლობას! კაი ოზდა ათი წლის ყაძახი შევიქენი და  
ჩემს ბარაზე არც ცოლი მეიძებნება და არც  
შვილი. ეგება ქე იფიქროს ვინმემ, ალბათ ცოლ-  
შვილის თავი არ ქონია და არ შეურთავსო... მა-  
რა, რაღა გეკადრებათ მაგი, თუა ერთი ყაძახი,  
მეც ქე ვარ. ბრუციანი არ ვარ და კოქლი, ქე-  
ციანი და ბნელიანი, ჩემი საყოფი სახლით მაქ და  
კარი, ყანა და ბახჩა, წისქვილი და საცხვილე ..  
სულცხოვრებული ნენაი—ბუჟუტიე, დღე და ღამე  
ნიადაგ იმას ჩამცივებოდა: შვილო „ითხუე  
ქალი, მომასარი შენი შვილის კალთაში ჩაგორება,  
ისე ნუ ჩამიშობ სამარეშიო“, მარა ველარ მიესრო  
საცოდავი ჩემს ცოლ-შვილს ისე ჩევიდა სამარე-  
ში... სულ კაი დროის გამობრუნებას ვუცდიდი:  
დღეს, ხვალ: აგერ დღეს, აგერ ხვალ დადგება  
კაი დროი მეთქინ და ქე დავრჩი ასე. ნათქვამია:  
მედღე მეხვალის სულ უწვიმს და სულ უთოვ-  
სო, ისე დემემართა მე... ბოლოს დავკარი ფეხი,  
მივატეი სოფელში ყველაფერი და ამევედი თფი-

ლის ქალაქს, ვთქვი: ცოლის არ ვარ და შვილის,  
ჩაცვივებივარ ამ ყანის თოხნას, რეიზა ვიწვალო  
თავი, რაცხა ადგილს რაღა ვერ ვიშონი თფილის-  
ში, ჩავალ ერთს, ქვეყანას მაინც გადავხედავ, რა-  
ცხას გევიგონებ, რაცხას დევინახავ, ავს და კას  
გევიგებ, ვინც ვარგებულია, ყველაყაი იქინეა და  
მე რა სხვაზე ნაკლები ვარ მეთქინ... მართლაც  
ასე ვქენი. ერთი თვე ქე ვიყავი უადგილოთ, მე-  
რე ნაცნობების წყალობით ქე ვიშონე ჩემი შესა-  
ფერი ადგილი და მინისტერობას მე ვინ მომცემ-  
და. ადგილზე რომ დავდექი, მითხრეს: პურს, შა-  
ქარს, ჩაის. ტანსაცმელს, ფეხსაცმელს... ერთი  
სიტყვით, ყველაფერს მიიღებ, რაც გერგებაო...  
აგაშენოს ღმერთმა ყველაი, მაგიზა წამოვედი თლად  
სოფლიდან, თვარა მარტუა მქადს ქე ვკამდი იქი-  
ნეც მეთქინ... ჩამწერეს, გამომივიდა ერთი გირ-  
ვანქა პური.—ერთი სული ხარ, მეტი არ გიწვე-  
სო. დაარიგეს ჩაი, შაქარი, მომცეს ერთი სულის!  
დაარიგეს მალიფაქტურე, მომიწია თუთხმეტი თუმ-  
ნის, ორი პლატუკი, მეტი არ გიწვეს, ერთი სუ-  
ლი ხარო! დაარიგეს ნავთი, სფინქა, ერთი სული  
ხარო და იგიც პაწაი მომცეს. ვიფიქრე, უცოლ-  
შვილო ვარ, მევითმენ, არა უშავს მეთქი... მარა,  
ამ სამთარში ქი არ დავრჩი უშეშოთი? შენი მტე-

რი და დამაწყევარი გააშეშოს სიცივემ ისე, რა-  
ვარც მე გვეყინებ... ვითხუე შეშა, მითხრეს: შენ  
ხალასტოვი კაცი ხარ, კოლ-შვილიანებს უნდა  
მივცეთო... გავცოფთი კაცი, პირდაპირ კიმიკიში  
ამივარდა სისხლი, ველარ მევითფინე და ბარე ორს  
და სამს შეუკურთხე რომ უნდოდა ისე

— ბიჭო, აგი, რა სამართალია: სფიქსს რუმ  
გუუქნე, გინდა ერთი იყავი ოჯახში, გინდა ხუ-  
თი, მაინც იმდენი უნდა, ნაფთიც ასეა, თუთხმე-  
ტი თუმნის მალიფაქტურედან პერანგი მომივა თუ  
მისი აფხანიკი, ერთი გირვანქა პური ქე შემომე-  
ქამა სახში მიტანამდი. კაი, აგენს თავი დავანებოთ  
თუ გინდა, მარა, აი, შეშა, ფუხარის გათფობა  
რავარც კოლიანს, ისე უნდა უცოლოსაც. კო-  
ლიანს უნდა მივცეთო... კაი, მიეციოთ მარა, მე  
რომელ კოლიანთან წვეიდე, ვინ გამათფობს ამ  
ზამთარში? არა, ძაშია, რავარც ვხედავ, პირდაპირ  
დაფება და დაღუბვა ყოფილა ამ თფილისში უცო-  
ლობა. ახლა კოლი რომ მყოლებოდა, ბაღნებიც  
მეყოლებოდა, სიდვდრი, კოლის დაი, აგენს ყვე-  
ლას ჩავწერიდი მუშათა სტოლის მაგიდაში, კაი  
ხუთი, ექვსი გირვანქა პური მაინც გამომივიდოდა  
დღეში, ზოგი ნაკლებს შექამდა, ზოგი მეტს და  
მე ქე მომიწევდა რაცხა პაწაი, ყბაის გასაქანებე-  
ლი; ნაფთსაც მომცემდენ ბლომათ, სფიქსს, ჩაის,

შაქარს, მალიფაქტურას და რაც თავი და თავია,  
უშეშოთ არ დავრჩებოდი მაინც ამ ყინვაში... გა-  
მიწყრა ღმერთი და რაღაი, ახლა! ახლა ქე მომ-  
დის ქკუაში სულ ცხონებულ ნენაის სიტყვები:  
შვილო, ითხუე ქალი, უცოლშვილო კაცს არა-  
ფელი მოწონება არ აქო... ახლა ქე ვისტავლე  
ქკუა, მარა რაღაი, თუ ღმერთმა ქნა და ამ ზამ-  
თარს ამ ყინვებს გადურჩი და გვეიტანე კბილით  
სული, გაზაფხულზე, კოლი რუმ არ ვითხუო ხომ  
არ შევიცდი ისე ერთ საათს. ახლა ქე ვისტავლე  
ქკუა, მარა ამ ზამთარს კი გადურჩები? ამ ზამთარ-  
ში, ქე აჯობებდა, მარა აღარ ვიცი, რაფერ ვი-  
თხუო ასე ნაჩქარევათ. ვინცხა მადლიანი რომ  
გამოჩებოდეს, ისე გამიჭირდა, რომ არ ვჩივი,  
რაფერიც იქნება... იქნება გამოჩდეს ვინმე ქრის-  
ტიანი, მინდა გავამცხადო, აბელანიები „საქარ-  
თოლოში“, ჩემსავით გაკვირებული, გუუთხოვა-  
რი ქალებიც ქე არის აქნაი სამსახურში, არც  
იგენს აძლევენ თურმე შეშას. ვითამ რა ქკუა  
არის, რომ დევიხოკოთ სიცივიო... თუ ჯვარის  
დაწერაზე ვარს იტყვის, ვინმე ამ მარტამდი შევ-  
კრათ კამპანიე, ერთი შეშა ჩვეიგდოთ ხელში,  
ერთი გვეითფო გულ-მაგარე და მარტში, თუ ჩემ-  
თან ცხოვრება არ მოეწონება, იმან სხვაი მონა-  
ხოს და მე სხვას მოვნახავ...

ლუკაიეს ობოლი.

# გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ე ბ ი

კახელ მევინახეთა კოოპერატიული საზოგადოება

საზოგადოება ანსებოსს  
= 1895 წლიდან =

## „კახეთი“

საზოგადოება ანსებოსს  
= 1895 წლიდან =

დვინდები და მაგარი სახმელები იყიდება ყოველ დღე მთავარ საწყობში: ერევნის მღვდანი, ქარ-  
ვასლა თამამვეისა, ვაჭრება სწარმდებს დილის 9—2 საათამდე, სადამოს 4—7-დე. 1—1.

### ლაგვის უუუაგი

მუდმივ მეტალური ჩარჩომი  
ყალბი დამზადება აკრძალულია  
მთავარი საწყობი (ბათუმად, ცალ-ცალკე)  
მთელი კავკასიისთვის არის  
**ნ. ლგობაქის**  
მალაზიაში  
მისამართი: თბილისი, ოფლას ქუჩა № 3  
საჭიროა ყველგან გამყიდველები  
მინები ეტლებისთვის და საბარგო ავტო-  
მობილისათვის.

3-3

### ლ ა ბ რ ა ტ ო რ ი ა

## „გაუუკა“

- წარმდების საგანი:
1. კბაღის ზარამაკი „უემჩუენა“
  2. სიმფარის მაზი „პრიალა“
  3. სანის პუღრა.
  4. ოდეკოფონი და დუხი.
- მოითხოვეთ ყველგან.  
გაყიდვა: ყორღანოვის ქუჩა № 18, მეორე  
სართული, ბინა № 3; ტელ. 8—26.  
3 1/2-საათიდან—4 1/2-მდე.

2-2



სმა კერპისა. ნუ ისწრაფვი, ჭიი ქურუმო! აუწუე ვრსა შენსა, რამეთუ მსხვერზლი ესე მცირე არს და შე-  
საძლებელ არს, რომელ შვილნი შეიღთა: თქვენთანი ღირს ვასდნენ სამკეთლის ჩემისა, განს ვერდარაკინებ  
შაიღწის ვასსა მას, რამეთუ მსხვერზლად შეიწიროს ერი იგი სრულად.

## „ეჭვთაჲს მათრახი“

თვეში ღირს 200 მან., ცალკე ნომერი უველგან 50 მან.

ქურნალში დაიბეჭდება **განცხადებები**

რედაქციაში შეიძლება შექმნა დღემდე გამოსული ნომრების. ხელის მოძვერ-  
ლებმა ფული შემდეგ მისამართით უნდა გამოგზავნონ: თფილისი, რუსთაველის ჰროს-  
ჰექტი, № 24. ეშმაკის მთრახისათვის. რედაქცია და კანტორა ღიაა 9—2 საათამდე.